ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

აბაშა, 2022 წლის 21 აპრილი

# აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე და 24-ე მუხლებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 აპრილის №01/74482 წერილის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

**განკარგულება:**

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მისი ფუნქციონირების ვადით აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარანში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე 2 (ორი) ოთახი სასარგებლო ფართი (48.38 კვ.მ +18.60 კვ.მ.) და მეორე სართულზე 1 (ერთი) ოთახი სასარგებლო ფართი (27.02 კვ.მ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **№40.05.33.003**).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია გელა ხოშტარია